

მხილების ინსტიტუტის მოქმედების თავისებურ სამართლებრივ ასპექტთა მიმოხილვა
ზუგდიდისა და კასპის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოების
საქმიანობის ფარგლებში

ანალიტიკური სტატია

მომზადების თარიღი : 01/12/2022- 01/29/2022

მაია თოდუა

დაბადების თარიღი :1999 წლის 3 სექტემბერი

ნინო ქოთოლაშვილი

დაბადების თარიღი :1999 წლის 17 ივლისი

ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი

თბილისი, 2022

სარჩევი

აბსტრაქტი.....	3
I. შესავალი.....	4
II. მხილების ინსტიტუტი -სამართლებრივი რეგლამენტაცია და საჯარო დაწესებულებებიდან გამოთხოვილი ინფორმაციის ანალიზი.....	5
III. ძირითადი რეკომენდაციები.....	8
IV. დასკვნა.....	9
გამოყენებული ლიტერატურა.....	10

აბსტრაქტი

მხილების ინსტიტუტი დემოკრატიული და სამართლებრივი სახელმწიფოს მნიშვნელოვან ქვაკუთხედს წარმოადგენს. განსახილველად წარმოდგენილი ანალიტიკური სტატია, ზუგდიდისა და კასპის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოთა მიერ მოწოდებული საჯარო ინფორმაციის დამუშავების გზით ანალიზებს ადგილობრივ დონეზე მხილების ინსტიტუტის ფუნქციონირებასთან დაკავშირებულ პრობლემურ ასპექტებს და უთითებს, აღნიშნულის ნეიტრალიზებისა და გაუმჯობესების პერსპექტივაზე ორიენტირებული მიდგომის ფორმირებისთვის საჭირო რეკომენდაციებს.

Abstract

The institution of whistleblowing represents an important cornerstone of democratic and legal State. The analytical article submitted for review, analyzes public information which was given by the executive authorities of Zugdidi and Kaspi municipalities, it also analyzes the problematic aspects related to the functioning of the institution of whistleblowing at the local level and points to a recommendation oriented approach aimed at neutralizing and improving it.

I. შესავალი

დემოკრატიული და სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპის ეფექტიანი პრაქტიკული რეალიზების მიზნებისთვის, აუცილებელია, ეროვნულ კანონმდებლობასა და პრაქტიკაში აისახოს საჯარო მმართველობის სუბიექტთათვის მინიჭებული უფლებამოსილების განხორციელებისას თვითნებური ქცევის გამოვლენასა და ამდენად, ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების მომეტებული შეზღუდვის საკითხებთან დაკავშირებული რისკების მინიმიზაციისთვის საჭირო გარანტიები. თუმცა, აღნიშნული კვლავაც აქტუალურია საქართველოსთვის, როგორც ტრანსფორმაციის პირობებში მყოფი ქვეყნისთვის, რომელშიც ინსტიტუციონალური დემოკრატიის ტრადიცია ჯერაც დამკვიდრების ფაზაშია, საჯარო უფლებამოსილების განხორციელებისა და აღსასრულებლად სავალდებულო გადაწყვეტილების ექსკლუზიური შესაძლებლობით აღჭურვილ პირთა მართლსაწინააღმდეგო ქმედების პრევენციის, მისი იდენტიფიცირებისა და შემდგომი სამართლებრივი რეაგირების გარანტირების მიზნობრიობით, რელევანტური ნორმატიული მოწესრიგებისა და აღნიშნულის პრაქტიკული ქმედითეფექტურობის კონტროლზე პასუხისმგებელი სტრუქტურების ფორმირების თვალსაზრისით მნიშვნელოვანი პროგრესი შეინიშნება. აღნიშნულის ნაწილს წარმოადგენს, საჯარო დაწესებულების საქმიანობის სისტემაში კორუფციული სამართალდარღვევის გამოვლენის მიზნობრიობით, 2009 წელს განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებების ფარგლებში მხილების ინსტიტუტის საკანონმდებლო რეგლამენტაციის ფაქტი იმ დათქმით, რომ საკითხის მომწესრიგებელი რეგულირების არსებობა თავისთავად ვერ იქნება პრობლემის გამომრიცხავი გარემოება და აუცილებელია, აღნიშნულ ნორმათა პრაქტიკული რეალიზება იქნას გარანტირებული.

მოცემულ სტატიაში, მხილების ინსტიტუტის მარგულირებელი კანონმდებლობის სისტემური სამართლებრივი ანალიზისა და აღნიშნულის ქმედითობის განსაზღვრის მიზნობრიობით ზუგდიდისა და კასპის მუნიციპალიტეტების აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოებიდან გამოთხოვილი ინფორმაციის დამუშავების გზით, იდენტიფიცირებულია ამ მიმართულებით არსებული პრობლემური ასპექტები და წარმოდგენილია აღნიშნულის ეფექტურ გადაწყვეტაზე ორიენტირებული კონკრეტული რეკომენდაციები.

¹ მაია თოდუა, სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის საჯარო სამართლის პროგრამის მაგისტრანტი, კორუფციასთან ბრძოლის სასერთიფიკატო პროგრამის კურსდამთავრებული

² ნინო ქოთოლაშვილი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის თანამედროვე საქართველოს ისტორიის პროგრამის მაგისტრანტი, კორუფციასთან ბრძოლის სასერთიფიკატო პროგრამის კურსდამთავრებული

II. მხილების ინსტიტუტი -სამართლებრივი რეგლამენტაცია და საჯარო დაწესებულებებიდან გამოთხოვილი ინფორმაციის ანალიზი

ქართულ სამართლებრივ რეალობაში მხილების, როგორც საჯარო დაწესებულების სისტემაში განხორციელებული ან მოსალოდნელი მართლსაწინააღმდეგო ქმედების შესახებ ინფორმაციის გამჟღავნების ინსტრუმენტული მექანიზმის, ნორმატიული მოწესრიგება მოცემულია „საჯარო დაწესებულებაში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5¹ თავში. მოცემული რეგულირება, საქართველოს კანონმდებლობის ან ეთიკისა და ქცევის ზოგადი წესების დარღვევის შესახებ ცნობების მიწოდების თვალსაზრისით უთითებს საჯარო დაწესებულებაში ამ სახის განცხადების განხილვაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულის, გამომძიებლის, პროკურორის ან/და სახალხო დამცველისათვის მიმართვის ალტერნატიულ შესაძლებლობებზე, აქვე უნდა ითქვას, რომ მხილების დასახელებული მექანიზმების ამოწურვის შემდგომ, მამხილებელს შეუძლია ფაქტთან დაკავშირებით სამოქალაქო საზოგადოების ან მასობრივი ინფორმაციის საშუალებების ინფორმირება.³ აქვე უნდა ითქვას, რომ მხილება შესაძლოა განხორციელდეს წერილობით, ზეპირად, ელექტრონულად, ტელეფონით, ფაქსით, საჯარო სამსახურის ბიუროს მიერ ადმინისტრირებული ვებ-გვერდის მეშვეობით, მამხილებლის საამისო სურვილის არსებობისას მისი ანონიმურობის დაცვის დათქმით.⁴ კანონმდებელი აგრეთვე ითვალისწინებს მამხილებელთა სოციალური და სამართლებრივი დაცვის გარანტიებს, მხილების ფაქტთან დაკავშირებით მამხილებლის ან მის ახლო ნათესავზე დაშინების, შევიწროების, იძულების, დამცირების ან ზეწოლის სხვაგვარი ფორმების გამოყენებისა და სამოქალაქო, ადმინისტრაციული ან სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრების მიზნობრიობით წარმოების დაწყების დაუშვებლობის საკითხზე რომ უთითებს. ამასთან, კანონმდებელი, საგამონაკლისო წესით მამხილებლის წინააღმდეგ გამოყენებული საპროცესო იძულების მექანიზმის რეალიზებისას საჯარო დაწესებულებას აკისრებს მტკიცების ტვირთს, რომლის მიხედვითაც საჯარო დაწესებულება ვალდებულია წარმოადგინოს ინფორმაცია ლოგიკურ და გონივრულ დასაბუთებას დაქვემდებარებული გარემოებების შესახებ, რომლებიც გამორიცხავდნენ მამხილებლის წინააღმდეგ დაწყებული სამართალწარმოების კავშირს მხილების ფაქტთან.

წარმოდგენილი კვლევის ფარგლებში, მხილების მარეგულირებელი კანონმდებლობის პრაქტიკულ ქმედითობასთან დაკავშირებული კითხვებით კასპისა და ზუგდიდის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოებს მივმართეთ და მამხილებლის განაცხადის განხილვაზე პასუხისმგებელი ორგანოს, მერიის საქმიანობის ფარგლებში მამხილებლის დაცვის მიზნობრიობით მოქმედი სოციალური და სამართლებრივი გარანტიების მომწესრიგებელი კანონქვემდებარე აქტის, ფიქსირებული მხილების შემთხვევებისა და ასეთის არსებობისას მხილების საგანთან დაკავშირებული ცნობისა და ამ მიმართულებით საჯარო

³ „საჯარო დაწესებულებაში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20¹ მუხლის „ა“ ქვეპუნქტი. 30/12/2021

⁴ „საჯარო დაწესებულებაში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20³ მუხლი. 30/12/2021

მოსამსახურეთა შორის ცნობიერების ამაღლების კამპანიის ჩატარების საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაციის მოწოდება მოვითხოვეთ. აღნიშნულის საპასუხოდ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ მოწოდებული მონაცემების შესაბამისად ცხადია, რომ „საჯარო დაწესებულებაში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20¹ მუხლის „გ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული ნორმატიული მოწესრიგების შესაბამისად მამხილებლის განაცხადის განხილვაზე პასუხისმგებელია ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტისა და ინსპექტირების სამსახური, რომელიც აღნიშნული სახის განაცხადზე ახორციელებს ადმინისტრაციულ წარმოებას საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად, ამ თვალსაზრისით ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიამ დამატებითად მიუთითა 2021 წლის 21 დეკემბრით დათარიღებულ №24.24213553 ბრძანებაზე, რომლის მე-10 თავითაც განისაზღვრება დისციპლინური გადაცდომების, ეთიკის დაცვისა და მხილების საკითხებთან დაკავშირებული რეგულირება⁵. მოცემული კანონქვემდებარე აქტის 46-ე მუხლის ნორმატიული მოწესრიგება კი, მხილების მიზნად საჯარო ან კერძო სექტორში საზოგადოების ინტერესების წინააღმდეგ განხორციელებული ან მოსალოდნელი სამართალდარღვევების შესახებ საამისოდ უფლებამოსილი პირების ინფორმირებას რომ განსაზღვრავს, კოლიზიაში მოდის საკითხის მარეგულირებელ საკანონმდებლო აქტთან იმდენად, რამდენადაც „საჯარო დაწესებულებაში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20¹ მუხლის „ა“ ქვეპუნქტის გრამატიკული ინტერპრეტაციის ეტაპზევე ცხადია, რომ აღნიშნული მიემართება არა კერძო სექტორში დასაქმებული პირის შესაძლო მართლსაწინააღმდეგო ქმედების შესახებ ინფორმაციის გავრცელებას საამისოდ განსაზღვრული არხების გამოყენების გზით, არამედ მხოლოდ საჯარო მოსამსახურის მიერ კანონმდებლობის დარღვევით საქმიანობის წარმართვის მოცემულობას. შესაბამისად, ქართული მართლწესრიგი მხილებას უკავშირებს მხოლოდ საჯარო დაწესებულების სისტემაში იდენტიფიცირებული ან იდენტიფიცირებას დაქვემდებარებული მართლსაწინააღმდეგო ქმედების გამოვლენისა და შესაბამისი სამართლებრივი რეაგირების გარანტირების შემთხვევებს. აქვე უნდა ითქვას, რომ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის ხსენებული სამართლებრივი აქტით განისაზღვრება ის სპეციფიკური ასპექტები, რითაც ხასიათდება მამხილებლის განაცხადის განხილვის პროცედურა, რომელიც ფორმალური ადმინისტრაციული წარმოების გამოყენების გზით წარმართება და მოიაზრებს მხილების განაცხადის დასაშვებობის, მასში მითითებულ ფაქტობრივ გარემოებებზე მოკვლევის დაწყების, აღნიშნულში მონაწილე პირების -მოწმეები, ექსპერტები, მხილებული და მამხილებლის იდენტიფიცირების, საამისოდ უფლებამოსილი პირებისთვის მოკვლევის შედეგების გაცნობისა და გადაწყვეტილების მიღების ეტაპებით გათვალისწინებული ღონისძიებების გატარებას.⁶ ამასთან, მოცემული ბრძანებითვე განისაზღვრება მამხილებლის წინააღმდეგ მხილების ფაქტის

⁵ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის თანამშრომლის სახელმძღვანელოს დამტკიცების შესახებ 2021 წლის 21 დეკემბრის №24.24213553 ბრძანება. <http://zugdidi.mun.gov.ge/sites/default/files//meris_brzaneba_shinagana_cesi.pdf> [01/29/2022]

⁶ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის თანამშრომლის სახელმძღვანელოს დამტკიცების შესახებ 2021 წლის 21 დეკემბრის №24.24213553 ბრძანება. მუხლი 46. <http://zugdidi.mun.gov.ge/sites/default/files//meris_brzaneba_shinagana_cesi.pdf> [01/29/2022]

გამყვანებასთან დაკავშირებით რეპრესიული ქმედების განხორციელების დაუშვებლობის საკითხი, აღნიშნულიდან მომდინარე მატერიალური და მორალური ზიანის ანაზღაურების უფლებაზე მითითებით. მამხილებლის უფლებრივი დაცვის გარანტიათა შორის აგრეთვე გათვალისწინებულია იმ პირთა პასუხისმგებლობის საკითხი, რომლებმაც თავიანთი ქმედებით ხელი შეუშალეს აღნიშნული პროცესის ჯეროვნად წარმართვას. საჯარო ინფორმაციის გამოთხოვის შესახებ განცხადების მე-3 პუნქტით გათვალისწინებულ საკითხთან დაკავშირებით კი, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის საქმიანობის ფარგლებში ფიქსირებული მხილების შემთხვევაზე ინფორმაციის მოწოდების მოთხოვნას რომ ითვალისწინებდა, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიამ მიუთითა, რომ მისი ფუნქციონირების ეტაპიდან- 2017 წლის 14 ნოემბრიდან საჯარო ინფორმაციის გამოთხოვის შესახებ განცხადებაზე პასუხის გაცემის ვადად -2022 წლის 13 იანვრის დროით პერიოდამდე, მხილებასთან დაკავშირებული არცერთი განაცხადი არ დაფიქსირებულა, თუმცა აღნიშნულის საპირისპირო მოცემულობაზე მეტყველებს საჯარო სამსახურის ბიუროს ადმინისტრირებულ ვებ-გვერდზე გამოქვეყნებული ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიაში მხილების 7 ფაქტია იდენტიფიცირებული.⁷ ხოლო, საჯარო ინფორმაციის გამოთხოვის შესახებ განცხადების მე-4 პუნქტით გათვალისწინებულ საკითხზე საპასუხოდ, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის სისტემაში მხილების ინსტიტუტის შესახებ ცნობიერების ამაღლების კამპანიის ჩატარების თაობაზე ცნობების მოწოდებას რომ ითვალისწინებდა, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიამ მხოლოდ 2021 წლის დროით პერიოდზე მიუთითა და აღნიშნა რომ მსგავსი ცნობიერების ამაღლების კამპანია ამ ვადაში დაგეგმილი არ ყოფილა, რაც პრობლემურია მხილების ინსტიტუტთან დაკავშირებით მერიის თანამშრომელთა ინფორმირებულობის მაჩვენებლის შეფასების მიზნობრიობით სრული სურათის არ არსებობის თვალსაზრისით.

კასპის მუნიციპალიტეტის მერიიდან იდენტურ საკითხებთან დაკავშირებით მიღებული ინფორმაციის ანალიზი კი ცხადყოფს, რომ განსხვავებით ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიისგან, რომელშიც „საჯარო დაწესებულებაში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული რეგულირების უკეთ ადმინისტრირების მიზნობრიობით მოქმედებს 2021 წლის 12 დეკემბრით დათარიღებული მერის ბრძანებით დამტკიცებული „ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის თანამშრომლის სახელმძღვანელო“, მხილების საკითხთან დაკავშირებით მიმდინარე ადმინისტრაციული წარმოების თუ მამხილებელთა უფლებრივი დაცვის გარანტიების დადგენის თვალსაზრისით ეყრდნობა მხოლოდ ხსენებულ საკანონმდებლო აქტითა და საქართველოს მთავრობის 2017 წლის 20 აპრილის N200 დადგენილებით განსაზღვრულ სამართლებრივ რეგლამენტაციას. ამასთან უთითებს რომ მხილების განაცხადის განხილვაზე პასუხისმგებელია კასპის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტის სამსახური, ხოლო ამ მიმართულებით ცნობიერების ამაღლების მიზნობრიობით თანამშრომლებს ჩაუტარდათ ტრენინგ-კურსი. კასპის მუნიციპალიტეტის მერიამ აგრეთვე მიუთითა, რომ 2017 წლის პირველი ივნისიდან 2022 წლის 25 იანვრამდე (საჯარო ინფორმაციის გამოთხოვის შესახებ განცხადების პასუხამდე) დროით პერიოდში

⁷ მხილებების სტატისტიკა დაწესებულებების მიხედვით <<https://mkhileba.gov.ge/Home/WhistlebStat>> [01/29/2022]

მხილებს შესახებ არცერთი განაცხადი დაფიქსირებულა, აღნიშნულსვე ადასტურებს საჯარო სამსახურის ბიუროს მიერ მხილების ფაქტების შესახებ წარმოებული სტატისტიკა.⁸

ამდენად, ზუგდიდისა და კასპის მუნიციპალიტეტების აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოთა მიერ მოწოდებული ინფორმაციის ანალიზი ცხადჰყოფს, რომ ერთი მხრივ, პრობლემურია თვით მხილების ინსტიტუტისთვის მახასიათებელი თავისებური სამართლებრივი ასპექტების სწორი იდენტიფიცირება, ხოლო მეორე მხრივ აღნიშნულის მნიშვნელობის შესახებ თანამშრომელთა შორის ცნობიერების ამაღლების სათანადო კამპანიის ჩატარებლობის საკითხები.

III. ძირითადი რეკომენდაციები

ადგილობრივად მნიშვნელოვანი საჭიროებების გადაწყვეტაზე ორიენტირებული თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოების ქმედითეფექტურობის გარანტირების მიზნებისთვის, აუცილებელია, კანონმდებლის მიერ საამისოდ განსაზღვრულ ინსტიტუტთა ფუნქციონირების საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაციული ასიმეტრიის პრობლემა იქნას ნეიტრალიზებული. ამ თვალსაზრისით, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიიდან მიღებული მონაცემების ანალიზის კონტექსტში მისასაღმებელია მამხილებელთა განაცხადის განხილვის წესისა და მისი უფლებრივი დაცვის გარანტიების კანონქვემდებარე ნორმატიული აქტით მოწესრიგების ფაქტი, თუმცა აუცილებელია რომ საკითხის მომწესრიგებელი საკანონმდებლო აქტის, კერძოდ, „საჯარო დაწესებულებაში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი რეგულირების შესაბამისად განიმარტოს მხილების მოქმედების ფარგლები იმ დათქმით, რომ აღნიშნული მხოლოდ საჯარო მოხელის მიერ განხორციელებული ან მოსალოდნელი მართლსაწინააღმდეგო ქმედების შესახებ ცნობის გაქდერების საკითხს მიემართება და არ ვრცელდება კერძო სექტორზე. ამასთან, მნიშვნელოვანია აქტიურად წარმოებდეს მხილების შესახებ მერიის თანამშრომელთა ცნობიერების ამაღლების კამპანია, აღნიშნული მიზნით გარკვეული პერიოდულობით ჩატარებული ტრენინგ-კურსის პარალელურად გავრცელდეს საინფორმაციო ბარათები, რომელშიც მარტივი, მკაფიო და ადვილად გასაგები ენით იქნება გადმოცემული საკვანძო მნიშვნელობის საკითხები მხილების შესახებ. ამასთან, ამავე მიზნითვე ეფექტური იქნება საჯარო სამსახურის ბიუროს ორგანიზებით გაიმართოს ყოველწლიური კონფერენცია ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოთა შიდა აუდიტისა და ინსპექტირების სამსახურის წარმომადგენლების მონაწილეობით, რომელიც მხილების პრაქტიკული მოქმედების თვალსაზრისით პრობლემური ასპექტების იდენტიფიცირებას და გაუმჯობესების პრაქტიკის შესახებ ხედვების ურთიერთგაზიარებაზე იქნება ორიენტირებული.

ამდენად, მერიის დაწესებულების საქმიანობის ფარგლებში მხილების საკითხის სწორად მომწესრიგებელი კანონქვემდებარე ნორმატიული აქტის შემუშავება, თანამშრომელთა შორის

⁸ იქვე.

ცნობიერების ამაღლების კამპანიის წარმოება და მუნიციპალიტეტებს შორის ეფექტიანი თანამშრომლობის მექანიზმის შექმნა წარმოადგენს ჩვენს ძირითად რეკომენდაციებს.

IV. დასკვნა

საჯარო დაწესებულებათა საქმიანობის კანონშესაბამისად წარმართვის თვალსაზრისით მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს მინიჭებული უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების შემთხვევები, რომლის მართოდენი მიზანია საკუთარი ან მესამე პირთათვის გაუმართლებელი უპირატესობის მინიჭება. აღნიშნული აზიანებს სამართლიანობისა და თანასწორობის კონსტიტუციურ ნორმა-პრინციპებს დემოკრატიული საზოგადოების სრულფასოვანი ფუნქციონირების მნიშვნელოვან ელემენტობრივ შემადგენელს რომ წარმოადგენს და ამდენად, დღის წესრიგში აყენებს საჯარო მმართველობის განხორციელებისას მართლსაწინააღმდეგო ქმედების გამომრიცხავი მექანიზმების ეროვნულ კანონმდებლობასა და პრაქტიკაში ასახვის აუცილებლობასთან დაკავშირებულ საკითხებს, რომლის ნაწილადაც უნდა მოვიაზროთ მხილების ინსტიტუტის საკანონმდებლო რეგლამენტაცია. მხილების ინსტიტუტის თავისებური სამართლებრივი ასპექტების მიმოხილვითა და ზუგდიდისა და კასპის მუნიციპალიტეტების მერიის მაგალითზე აღნიშნულის პრაქტიკული ქმედითობის შეფასების მიზნობრივობით გამოთხოვილი ინფორმაციის ანალიზით ცხადია, რომ აუცილებელია საამისოდ პასუხისმგებელი სტრუქტურების მიერ დამატებითი ნაბიჯი გადაიდგას მხილებასთან დაკავშირებით ცენტრალურ და ადგილობრივ დონეზე მოქმედი სამართლებრივი რეგლამენტაციის ურთიერთშესაბამისობის უზრუნველსაყოფად, ამ მიმართულებით შედეგეფექტური ცნობიერების ამაღლების კამპანიის დაგეგმვისა და მუნიციპალიტეტთა თანამშრომლობის ფორმატის შესაქმნელად, სწორედ აღნიშნულ პირობათა ერთობლიობაში დაკმაყოფილება შექმნიდა მხილების ინსტიტუტის რეალური ქმედითობის მოცემულობას.

გამოყენებული ლიტერატურა

სამართლებრივი აქტები

„საჯარო დაწესებულებაში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ საქართველოს კანონი. 2021 წლის 30 დეკემბრის რედაქცია.

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის თანამშრომლის სახელმძღვანელოს დამტკიცების შესახებ 2021 წლის 21 დეკემბრის Nბ24.24213553 ბრძანება. <http://zugdidi.mun.gov.ge/sites/default/files//meris_brzaneba_shinagana_cesi.pdf> [ბოლოს ნანახია - 01/29/2022]

ელექტრონული წყაროები

მხილებების სტატისტიკა დაწესებულებების მიხედვით <<https://mkhileba.gov.ge/Home/WhistlebStat>> [ბოლოს ნანახია -01/29/2022]

დანართები

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის N24-242201398 წერილი (დანართი N1)

კასპის მუნიციპალიტეტის მერიის N82-822202551 წერილი (დანართი N2)



ს ა ქ ე რ თ ე მ ე ლ ო
ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერია
G E O R G I A
ZUGDIDI MUNICIPALITY CITY HALL



წერილის ნომერი: 24-242201398
თარიღი: 13/01/2022
პინი: 7691

აღრეზატი: მაია თოდუა
პირადი ნომერი: 19001104717
მისამართი: ზუგდიდი ხ. ნარაზენი სამეგრელოს ქ. N 19

გადაამოწმეთ: document.municipal.gov.ge

მოქალაქე მაია თოდუას

პ/ნ 19001104717

ელ. ფოსტა: maia.todua.1@iliauni.edu.ge

ტელ: (+995) 597 07 53 65

მისამართი: ზუგდიდი, ზოფ. ნარაზენი, სამეგრელოს ქ. N19.

ქალბატონო მაია,

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიაში 2022 წლის 12 იანვარს შემოსული თქვენი განცხადების (მერიაში რეგისტრაციის N:19/242201291-24) პასუხად გაცნობებთ, რომ:

1. მამხილებლის განაცხადის განხილვაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულია ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტისა და ინსპექტირების სამსახური, განხილვისწესსა და პროცედურას არეგულირებს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობა და ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის 2021 წლის 12 დეკემბრის N24.24213553 ბრძანება „ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის თანამშრომლის სახელმძღვანელო“.
2. მამხილებლის უფლების დაცვის გარანტიები გაწერილია როგორც საქართველოს კანონმდებლობით, ასევე „ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის თანამშრომლის სახელმძღვანელოში“, რომელიც არეგულირებს აღნიშნულ საკითხებს (იხილეთ: http://zugdidi.mun.gov.ge/sites/default/files/archevnebis_periodshi_meris_sajaro_mosamsaxureta_saxelmzgvanelo_cesi.pdf . 46 მუხლი).
3. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერია ფუნქციონირებს 2017 წლის 14 ნოემბერიდან. აღნიშნული პერიოდიდან დღემდე მხილებასთან დაკავშირებული არც ერთი განცხადება არ შემოსულა.
4. 2021 წელს მერიის სისტემაში მხილების ინსტიტუტთან დაკავშირებით ცნობიერების ამაღლების კამპანია არ დაგეგმილა.

პატივისცემით,

მამუკა წოწერია

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერია-მერი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი



2100 ზუგდიდი, რუსთაველის ქ.90. ტელ: (0415) 25 01 23, (0415) 22 21 03,
ელ.ფოსტა: info@zugdidi.gov.ge



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
კასპის მუნიციპალიტეტის მერია
G E O R G I A
KASPI MUNICIPALITY CITY HALL



წერილის ნომერი: 82-822202551
თარიღი: 25/01/2022
პინი: 4041

ადრესატი: ნინო ქოთოლაშვილი
პირადი ნომერი: 24001047443
მისამართი: კასპი ხ. ლამისყანა

გადაამოწმეთ: document.municipal.gov.ge

ქალბატონ ნინო ქოთოლაშვილს
მის: კასპი, სოფელი ლამისყანა
პ/მ 24001047443

ქალბატონო ნინო,

თქვენი, 2022 წლის 12 იანვრის განცხადების პასუხად წარმოგიდგინთ, შემდეგი სახის ინფორმაციას:

1. კასპის მუნიციპალიტეტის მერიის მამულებლის განცხადების განხილვაზე, რომელიც შემოსულია <https://mkhileba.gov.ge/> საიტის საშუალებით, პასუხისმგებელი პირია შიდა აუდიტის სამსახურის ხელმძღვანელი.
2. საჯარო დაწესებულებაში საქართველოს კანონმდებლობისა და ეთიკისა და ქცევის წესების შესაძლო დარღვევის აღმოჩენის შემთხვევაში კასპის მუნიციპალიტეტის მერია მოქმედებს „საჯარო დაწესებულებაში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ საქართველოს კანონისა და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
3. 2017 წლის 1-ლი ივნისიდან დღემდე, კასპის მუნიციპალიტეტის მერიის არ შემოსულა არცერთი მამულებლის განცხადება.
4. საქართველოს მთავრობის 2017 წლის 20 აპრილის #200 დადგენილების „საჯარო დაწესებულებაში ეთიკისა და ქცევის ზოგადი წესების განსაზღვრის შესახებ“ მხილების ინსტიტუტთან დაკავშირებით ცნობიერების ამაღლების მიზნით კასპის მუნიციპალიტეტის მერიის თანამშრომლებმა გაიარეს შესაბამისი ტრენინგ-კურსი.

პატივისცემით,

ვახტანგ მაისურაძე

კასპის მუნიციპალიტეტის მერია-მერი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

